საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

საქართველოს ეროვნული პლატფორმა გმობს ბოლო პერიოდში სამოქალაქო აქტივისტებზე და მედია წარმომადგენლებზე განხორციელებულ ძალადობრივ ქმედებებს და მოითხოვს რეაგირებას!

საქართველოს ეროვნული პლატფორმა გმობს ბოლო დროს გახშირებულ ძალადობის ფაქტებს. შემაშფოთებელია სამოქალაქო აქტივისტებზე და მედია წარმომადგენლებზე, მათ შორის, მასწავლებელ ლადო აფხაზავაზე, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) დირექტორ გიორგი კლდიაშვილზე, ტელეკომპანია ფორმულას გადამღებ ჯგუფზე განხორციელებული სიტყვიერი და ფიზიკური ძალადობა.

მნიშვნელოვანია, უმოკლეს დროში მოხდეს ძალადობის ფაქტებზე რეაგირება: ჩატარდეს დროული და ყოველმხრივი გამოძიება, დამნაშავეები მიეცნენ პასუხისგებაში და გამოძიების შესახებ ინფორმაცია მიეწოდოს საზოგადოებას .

- **მოვუწოდებთ მმართველ ხელისუფლებას, უარი თქვას** "უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" კანონის მიღებაზე, რომელიც საქართველოს საზოგადოებას ყოფს და ძალადობასაც კი იწვევს, ხოლო საქართველოს უჭრის ევროკავშირსა და ევროატლანტიკური ალიანსისკენ მიმავალ გზას.
- **მოვუწოდებთ, შინაგან საქმეთა სამინისტროს** და სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს დროულად და ყოველმხრივ გამოიძიონ ძალადობის თითოეული ფაქტი და საზოგადოებას მიაწოდონ ინფორმაცია გამოძიების შედეგების შესახებ.

არა ძალადობას!
არა რუსულ კანონს!
კი ევროპას!